თბილისის ცენტრიდან 45 წუთის მანძილზე, სოფელ ცხვარიჭამიას როგორც კი გასცდებით, საბადურის ულამაზეს ტყეში შეგიძლიათ იმოგზაუროთ. საბადურის ტყე, რომელიც მსოფლიოს ულამაზესი ტყეების სიაშია შეტანილი, თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მდებარეობს. თბილისის ეროვნული პარკი წელიწადის ნებისმიერ დროს გაძლევთ საშუალებას მოწყდეთ ყოველდღიურ რუტინას, ქალაქის ხმაურს და არაჩვეულებრივ ბუნებაში განიტვირთოთ.

ეროვნული პარკის ბუნებრივი ბილიკების ქსელი ისეა დაგეგმილი, რომ მნახველს შეუძლია, დაათვალიეროს ეროვნული პარკის მრავალფეროვანი ლანდშაფტები, განსხვავებული მცენარეული საფარი, გაეცნოს ღირსშესანიშნავ ადგილებს. პარკიდან ჩანს საგურამოს ქედი. აქ თქვენ დატკბებით შთამბეჭდავი ხედებით, შეძლებთ ისიამოვნოთ პიკნიკით და ღამე გაათენოთ სპეციალურად მოწყობილ საკარვე ადგილებზე.

მსოფლიოში იშვიათად აღმოაჩენთ დედაქალაქის გარშემო ამ მასშტაბის ეროვნულ პარკს და ტყის მასივს. თბილისის ეროვნული პარკის უნიკალური ტყე მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დედაქალაქის ჰაერის გაწმენდას და მას შესაძლოა „ქალაქის ფილტვებიც“ ვუწოდოთ.

თბილისის ეროვნული პარკი 1973 წელს შეიქმნა და ის პირველი ეროვნული პარკია საქართველოში. პარკის საერთო ფართობია 21 030 ჰა. თბილისის ეროვნული პარკი ზურმუხტის ეკოლოგიურ ქსელში შედის, რაც ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულობას.



საგურამო

+995 544 33 44 33

info@parks.ge

თბილისის ეროვნული პარკი / Tbilisi National Park

საქართველოს ეროვნული პარკები

თბილისის ეროვნული პარკი

www.nationalparks.ge

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო



ეკოტურიზმი

თბილისის ეროვნული პარკი, გასაოცარი ბუნებითა და ისტორიული ძეგლებით გამორჩეული სოფელ მამკოდადან იწყება. აქ თქვენ შესაძლებლობა გაქვთ მამკოდას მამათა მონასტერი მოინახულოთ, საიდანაც საოცარი ხედი იშლება თბილისზე.

მამკოდადან გზა სულ ზევით მიემართება, სოფელ ცხვარიჭამიას მიმართულებით. როგორც კი ცხვარიჭამიას გასცდებით თქვენს წინ საოცარი სანახაობა გადაიშლება და სწორედ აქედან იწყება მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზესად აღიარებული საბადურის ტყე, რომელიც წლის ნებისმიერ დროს ძალზედ შთამბეჭდავია.

წითელ-ყვითელი ფოთლები, ხელუხლებელი ბუნების სურნელი ფოთოლცვენაში – შემოდგომაზე – სადაც ხეტიალი განსაკუთრებით სასიამოვნოა. ზამთარში, გაყინული ხის ტოტები, ყინულის კრისტალებზე არეკლილი მზის სხივები და საოცარი პეიზაჟები შთაბეჭდილებებითა და ემოციებით აგავსებთ.

თბილისის ეროვნულ პარკში, საგურამოს გზის გავლით ზღვის დონიდან 1200 მეტრ სიმაღლეზე, შეგიძლიათ VII-VIII სს-ის ზედაზნის მოქმედი ტაძარი მოინახულოთ და ჯვრის მონასტრის, მდ. მტკვრისა და არაგვის ხეობების, თოვლით დაფარული კავკასიონის ულამაზესი ხედებით ისიამოვნოთ.

თბილისის ეროვნული პარკი ვიზიტორებს სთავაზობს შემდეგ ტურებს:

- სალაშქრო
- საცხენოსნო
- ეკოსაგანმანათლებლო
- ისტორიულკულტურული

პარკის ტერიტორიაზე მოწყობილია ტურისტული ინფრასტრუქტურა – თავშესაფრები, საპიკნიკე, საკარვე და ცეცხლის დასანთები ადგილები.



ბიომრავალფეროვნება


თბილისის ეროვნული პარკის შექმნის მიზანს აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში იშვიათი სახეობის მცენარეებისა და ამ ტერიტორიისათვის დამახასიათებელი ტყის ეკოსისტემების, ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნება და დაცვა წარმოადგენს.

თბილისის ეროვნული პარკის მდიდარი ბუნება, მცენარეთა და ცხოველთა იშვიათი წარმომადგენლები და „წითელი ნუსხის“ სახეობები ტერიტორიას მნიშვნელოვანს და გამორჩეულს ხდის.

აქ თქვენ იმოგზაურებთ უნიკალურ ტყეში, მოინახულებთ ულამაზეს ბალახოვან და მერქნიანი მცენარეების 700-მდე სახეობას. ტყეში სეირნობისას, თუ გაგიმართლებთ კავკასიურ კეთილშობილ ირემსაც შეიძლება შეხვდეთ. აქვე ბინადრობს ფოცხვერიც, რომელიც თავისი სილამაზით და სისწრაფით გამოირჩევა.

თბილისის ეროვნულ პარკში ფრინველების 250-ზე მეტი სახეობაა აღრიცხული, მათ შორის მიმინო, ჩხიკვი და კოდალა.





ტერიტორიის მიმდებარედ არსებული ტურისტული ობიექტები

ზედაზნის მონასტერი | VII-VIII სს. საგურამო, მცხეთის მუნიციპალიტეტი

ჯვრის მონასტერი | VI ს. მცხეთის მუნიციპალიტეტი, იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი

წმ. პეტრე მოციქულის მონასტერი | XVIII ს. მცხეთის მუნიციპალიტეტი

მარტყოფის ღვთაების მონასტერი | VI ს. მარტყოფი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი

ცხვარიჭამიას წმ. მარიამის ეკლესია | XIX ს. ცხვარიჭამია, თიანეთის მუნიციპალიტეტი

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი | არსებობას ითვლის IV საუკუნიდან, დღევანდელი ნაგებობა XI საუკუნისაა, მცხეთის მუნიციპალიტეტი

სამთავროს მონასტერი | XI ს. მცხეთის მუნიციპალიტეტი

არმაზის ციხე | XIII-XV სს. არმაზი, მცხეთის მუნიციპალიტეტი

ანტონ მარტყოფელის სვეტი | ადრეული შუა საუკუნეები, მარტყოფი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი

წმ. მარიამის ეკლესია | XVII ს. ნორიო, გარდაბნის მუნიციპალიტეტი